



6109/3-77/21 2 16062021

6109/3-77/21

16-06-2021

საქართველოს პროკურატურას

სადეპუტატო კითხვა

მოგესალმებით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

2013 წლიდან დღემდე ნარკოტიკულ დანაშაულზე ბრალდებული თითოეული ადამიანის შესახებ შემდეგი მონაცემები:

- ა) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ნივთიერების ამოღების დრო, დაკავების დრო, ბრალის წაყენების დრო;
- ბ) მუხლი (პუნქტი), რომლითაც იქნა ბრალდებული;
- გ) თითოეულ საქმეზე ამოღებული ნარკოტიკული საშუალების სახეობა (ნივთიერების დასახელება) და ოდენობა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი



საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia



0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
 ელ.ფოსტა: kancelaria@pog.gov.ge www.pog.gov.ge;

KARR1317801480021

№13/38867

29 / ივნისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
 ბატონ ალექსანდრე რაქვიაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 2021 წლის 16 ივნისის N6109/3-77/21 წერილით წარმოდგენილ კითხვასთან დაკავშირებით გაცნობებთ შედეგს:

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლით განსაზღვრულია პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, პროკურატურის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენით. კერძოდ, მითითებული ნორმების თანახმად, პროკურატურის მიერ წინა წელს განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთან, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, წარმოადგენს სხვა პირების პერსონალური და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სხვა პირის პერსონალური მონაცემის გაცემისათვის საჭიროა მონაცემთა სუბიექტის თანხმობა. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ინფორმაცია უკავშირდება იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს - ბრალდებულს/მსჯავრდებულს და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე განხორციელებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს. აღნიშნული ინფორმაციის გადმოცემის სამართლებრივი საფუძველი ზემოთ მითითებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე საქართველოს პროკურატურას არ გააჩნია.

პატივისცემით,

